თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

გიორგი ჭილვარია – ქუთაისის მერად!

ჩვენი მთავარი მიზანია, ქუთაისი გახდეს „მომავლის ქალაქი“, სადაც ყველა ქუთაისელი ადგილზე შეძლებს საკუთარი თავის რეალიზებას

მე-3 გვერდზე

№14 (776) 16 - 20 ოქტომბერი, 2017 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

კანდიდატების საწყისი კაპიტალი

არჩევნებზე პარტიების მიერ წარმოდგენილი კანდიდატების კვალიფიკაცია და ბინსეს-ინტერესები ყოველთვის მაღალი ინტერესის საგანს წარმოადგენს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერობის კანდიდატებისა და პირველი ნომრების კვალიფიკაციები და ბიზნეს-ინტერესები შეისწავლა. შესწავლა ძირითადად საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციით და კანდიდატების მიერ შევსებული დეკლარაციებით მოხდა.

არჩევნებში მონაწილე წამყვანი 5 პარტიიდან მერობის კანდიდატი იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტში ჰყავს “ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს” და საარჩევნო ბლოკ “ერთიან ნაციონალურ მოძრაობას”. საარჩევნო ბლოკ “ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველოს” მერობის კანდიდატი არ ჰყავს ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ხოლო საარჩევნო ბლოკ „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა — დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალ საქართველოს” მერობის კანდიდატები ჰყავს ქუთაისში, ხარაგაულში, ზესტაფონსა და წყალტუბოში. რაც შეეხება „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსს”, მერობის კანდიდატები არ წარუდგენიათ საჩხერეში, ბაღდათსა და ხონში.

იმერეთის მუნიციპალიტეტებში მერობის **73 კანდიდატს შორის მხოლოდ ხუთია ქალი.** საკრებულოს არჩევნებისათვის წარდგენილი პარტიული სიების პირველ ნომრებს შორის 20 ქალია, აქედან ორი ქალი კანდიდატი მმართველმა პარტიამ წამოაყენა. ყველაზე მეტი ქალი პარტიული სიის პირველ ნომრად (9 კანდიდატი) პარტიამ “თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა” დაასახელა.

კვლევის მიხედვით, 11 კანდიდატი გამოიკვეთ, რომელმაც პარტიისთვის შემოწირულობა გიაღო.

„შესწავლილი კანდიდატები, ძირითადად, საკუთარ პარტიებს ურიცხავენ შემოწირულობებს. კახაბერ მახათაძემ - “ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს” ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატმა 2016-2017 წლებში, კანდიდატებს შორის, ყველაზე მეტი თანხა გაიღო პარტიისთვის, კერძოდ, მან “ქართულ ოცნებას” ჯამში 90 000 ლარი გადაურიცხა. 89 234 ლარი შესწირა საკუთარ პარტიას საარჩევნო ბლოკ “დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსის” თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატმა და პარტიული სიის პირველმა ნომერმა ხვიჩა წკეპლაძემ.“ - განაცხადა ლელა მოწონელიძემ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კოორდინატორმა იმერეთში.

„ქართული ოცნების” 12 კანდიდატიდან 6 მერობის კანდიდატი არის ბიზნეს-კომპანიების მეწილე ან/და ხელმძღვანელი.

ქუთაისი - გიორგი ჭიღვარია: გიორგი ჭიღვარიას მიერ 2017 წლის მარტში შევსებული დეკლარაციის თანახმად, ის და მისი ოჯახის წევრები ფლობენ სამ სახლს ქუთაისში, თბილისსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოში, ასევე მიწის ნაკვეთს ქუთაისში (1995 წელს გიორგი ჭიღვარიას მამამ საცხოვრებელ სახლში 10 000 აშშ დოლარი, გიორგი ჭიღვარიამ 2007 წელს მიწის ნაკვეთში 5600 ლარი, მეუღლემ, თამთა ფოფხაძემ, კი 2013 წელს თბილისში ბინის შესაძენად 39000 აშშ დოლარი გადაიხადა). გიორგი ჭიღვარია ასევე არის შპს “კოლეგიოს” (ს/კ - 204562179) მეწილე, თუმცა მას აღნიშნული ინფორმაცია არ აქვს დეკლარირებული. თუმცა, ჭიღვარია აღნიშნავს, რომ შპს-ს არ უმუშავია.

ზესტაფონი კახაბერ მახათაძე: - 1988-1998 წლებში მუშაობდა თბილისის შამპანურის ქარხანაში ინჟინერ-ტექნოლოგად; 1998-1999 წლებშიიყო ხაშურის ძეხვეულისა და ნაყინის ქარხნის დირექტორი; 1999-2003 წლებში ეკავა საქართველოს საპატრიარქოს „ხაშმის“ ღვინისქარხნის დირექტორის თანამდებობა; 2003-2011 წლებში იყო საპატრიარქოს აგროსამრეწველო დეპარტამენტის ხელმძღვანელი; 2009-2010 წლებში იყო საპატრიარქოს წარმომადგენელი, სამთავრობო კომისიის წევრი; 2011 წლიდან კვლავ საქართველოს საპატრიარქოს „ხაშმის“ ღვინის ქარხნის დირექტორია.

კახაბერ მახათაძე შპს „კაფ – ჯგუფისა“, შპს „ჯეოლოტო და შპს „გრუზსპირტპრომი” 100% წილის მფლობელია, ასევე 65% წილისმესაკუთრეა შპს „იმერეთი 2011- ში“ და შპს „GVMT Group-ში“ 50% წილს ფლობს, ხოლო შპს „იმერეთი 777” -ში 34% წილის მესაკუთრეა. მან მიმდინარე წლის სექტემბერში სხვა პირებს გადააბარა როგორც ხელმძღვანელი პოზიციები, ასევე წილების მართვა.

შპს “იმერეთი 2011”-მა 2015 წელს გამარტივებული შესყიდვით 3 ხელშეკრულება დადო, რომელთა საერთო ღირებულებამ 1355 ლარიშეადგინა.

მახათაძემ “ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს ”2016 წელს 50 000 ლარი, ხოლო 2017 წლის 1 აგვისტოს - 40 000 ლარი შესწირა.

თერჯოლა - ბონდო სოფრომაძე, არის შპს “ახალი დონის” 100% წილის მესაკუთრე, რომელსაც ხელმძღვანელობს მისი შვილი გიორგი-სოფრომაძე.

ბაღდათი - არჩილ გოგსაძე - ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის „ღვინის პარკის“ დირექტორის თანამდებობას იკავებს; ამასთან, არჩილ გოგსაძე შპს „აგუნას“ დირექტორი და 50%-იანი წილის მფლობელია, ასევე შპს “გრანდის” 50% წილის და შპს “არქიტექსის” 50%-იანი წილის მესაკუთრეა, თუმცა შპს “არქიტექსის” წილი დეკლარაციაში მითითებული არ აქვს

ხონი - ლადო ჯურხაძე - იგი რამდენიმე შპს-ის დირექტორი და მეწილეა, კერძოდ: შპს “გლობალ ენერჯი სოლუშენს” - დირექტორი და 100%: წილის მფლობელი; შპს “ბატონო ტრეველიძე” - დირექტორი და 100% წილის მფლობელი; შპს “მახაუტო” - დირექტორი და 100% წილის მფლობელი.

სამტრედია ვალერიანე ფოცხვერია - შპს “ელიტა 5 +” 20% წილის მესაკუთრეა.

“ევროპული საქართველოს” მერობის ერთი (კობა მოდებაძე - საჩხერე) და “პატრიოტთა ალიანსის” სამი კანდიდატი არის ბიზნესკომპანიების მეწილე ან/და ხელმძღვანელი (გრიგოლ ბახტაძე - ქუთაისი; ხვიჩა წკეპლაძე - თერჯოლა; პაატა კიკნაძე - ხარაგაული).

„ხოლო რაც შეეხება პარტიული სიების პირველ ნომრებს, წარდგენილი კანდიდატებიდან “ქართული ოცენების” 2 კანდიდატი (ნიკოლოზ ლატარია - ქუთაისი, მანანა ბარბაქაძე - ხარაგაული), ხოლო “ნაციონალური მოძრაობის” 3 კანდიდატი (ბესიკ ბრეგაძე - ქუთაისი; პაატა ლეჟავა - ვანი; მამაუკა საღარეიშვილი - წყალტუბო) არის ბიზნესკომპანიების მეწილე ან/და ხელმძღვანელი.“ - აცხადებს ლელა მოწონელიძე.

მაკა ჩინიჯიშვილი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი – დემოკრატიის ფუნდამეტი“ ფარგლებში.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

PS news.ge
ISSN 1987-7056

სამტრედია არჩევნების მოლოდინში

სამტრედიის მუნიციპალიტეტში მმართველი პარტიიდან კენჭს მოქმედი გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია იყრის, მას კონკურენციას „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი ავთანდილ სტურუა უწევს, „ნაციონალური მოძრაობიდან“ - მამუკა ბიბილეიშვილი, „ლეიბორისტებიდან“ - გიორგი ჯიმშელეიშვილი, „პატრიოტთა ალიანსიდან“ — კამო კანდელაკი, „შენების მოძრაობიდან“ კი — იმედა გოგავა.

ოპოზიციური პარტიის კანდიდატები საარჩევნო გარემოს არაერთგვაროვნად აფასებენ. ზოგი ამბობს, რომ ხელისუფლება ყველა ადმინისტრაციულ რესურსს იყენებს, ზოგიც ფიქრობს, რომ არჩევნები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს.

უკიდურესად დაძაბულ სიტუაციაზე საუბრობენ ძველი თანაგუნდელები „ევროპული საქართველოდან“ — ავთანდილ სტურუა და „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი მამუკა ბიბილეიშვილი.

ავთანდილ სტურუა: „განსაკუთრებული ზეწოლა მიმდინარეობს სკოლამდელი დაწესებულების წარმომადგენლებსა და რკინიგზელებზე, მათ ყველა გზით აიძულებენ, რომ შემოხაზონ 41, მოიტანონ მხარდამჭერთა სიები, ერთ-ერთი პარტიის კანიდიდატი ზეწოლით აიძულეს და მოახსნევინეს კანდიდატურა“.

მხარდამჭერებისა და კოორდინატორების ზეწოლაზე საუბრობს **მამუკა ბიბილეიშვილი:** „ჩვენს ერთ-ერთ კოორდინატორს დახვდნენ და გამოკითხვა დაუწყეს. ჰკითხეს: შენი შვილი ხომ მედალოსანიაო? ეს არის პირდაპირი დაშინება და გაფრთხილება, რომ ჩვენს საასრგებლოდ არ იმუშონ. ასევე ერთ-ერთი კოორდინატორის სახლში დილის ექვს საათზე ჩაატარეს ჩხრეკა, ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენეს მის მცირეწლოვან ბავშვებს.

ზეწოლა არის საოლქო საარჩევნო კომისიიდანაც. ჩვენ ვაშკარავებთ საუბნო საარჩევნო კომისიაში დარღვევებს, მაგრამ სასამართლო, კომისიისთვის ხელისშეშლის მოტივით, იმ ადამიანებს აჯარიმებს.“

„შენების მოძრაობის“ კანდიდატი **იმედა გოგავა** ამბობს, რომ ერთი შეხედვით მშვიდი გარემოს უკან ძალიან დაძაბული სიტუაციაა.

„ხელისუფლება უხეშად იყენებს ყველა ადმინისტრაციულ რესურსს, ისინი აშინებენ ყველა ა(ა)იპ-ის თანამშრომელსა და საჯარო მოხელეს. ამათმა ერთი-ერთზე გადმოიღეს ნაციონალების ყველა მეთოდი, მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ბაღების თანამშრომლებთან მოეწყო შეხვედრა და იმის გამო, რომ არავინ წასულიყო, კარი გადაკეტეს, „ოცნება“ ვერ ელევა პომპეზურობის განცდას. ასეთი ფაქტიც იყო — ყველა საჯარო მოხელემ დაწერა განცხადება გათავისუფლების თაობაზე იმ დღეს, როცა მერობის კანდიდატებთან იყო შეხვედრა.“

საარჩევნო გარემოს სამტრედიაში დადებითად აფასებს „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელი **გიორგი ჯიმშელეიშვილი**.

„ვერ ვიტყვი, რომ აქ რაიმე კატასტროფა ხდება, მშვიდი გარემოა, ცენტრალური ხელისუფლებიდან არ გვაქვს ხელშეწყობა, სესხიც კი არ მოგვცეს. არ გვაქვს სატელევიზო დრო ცენტრალურ ტელეარხებზე.“

„პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატი **კამო კანდელაკი** კი საარჩევნო გარემოზე ამბობს, რომ სამართლიანი გარემოა. „ჯერჯერობით, ასეა, ვნახოთ, მერე რა იქნება“.

მაკა ჩინჯიშვილი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი - დემოკრატიის ფუნდამეტი“ ფარგლებში.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

გაზეთ P.S.-ის ჟურნალისტმა „სატყეო რეფორმის“ მედიაკონკურსის ორ ნომინაციაში გაიმარჯვა

10 ოქტომბერს, მეტყევის დღესთან დაკავშირებით მედიაკონკურს ,,სატყეო რეფორმის" გამარჯვებული ჟურნალისტები, სატყეო დარგის ლიდერები და ახალგაზრდა გარემოსდამცველები დაჯილდოვდნენ.

ინიციატივა პროექტის - ტყის მდგრადი მართვა საქართველოში ფარგლებში, ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისთვის (ADC), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) და მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის (WRI) მხარდაჭერით განხორციელდა. პროექტის მხარდამჭერი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო იყო, რომელსაც კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის CENN ახორციელებდა. მედია კონკურსი - „სატყეო რეფორმა“ რამდენიმე ეტაპს მოიცავდა. მათ შორის იყო ხუთ დღიანი ტრენინგი და რამდენიმე მედა-ტური. რომლის მიზანი იყო ჟურნალისტებისთვის საჭირო ინფორმაციის თეორიული და პრაქტიკულად მიწოდება.

კონკურსში ჩართულ ჟურნალისტებს ჯილდოები შემდეგ ნომინაციებში გადაეცათ: საუკეთესო სატელევიზიო რეპორტაჟი; საუკეთესო სტატია; საუკეთესო რადიო რეპორტაჟი; აქტიური სატელევიზიო გაშუქება; აქტიური გაშუქება ბეჭდურ მედიაში; აქტიური გაშუქება ინტერნეტ-მედიაში; საზოგადოების რჩეული.

გაზეთ P.S.-ის ჟურნალისტმა, მარიკა ვაჭარაძემ ორ ნომინაციაში - საუკეთესო სტატია და აქტიური გაშუქება ბეჭდურ მედიაში, პრიზი მიიღო.

კონკურსის მიზანია სატყეო დარგის პოპულარიზაცია და ჟურნალისტების კვალიფიკაციის ამაღლება სატყეო სფეროში ძირითადი გამოწვევებისა და განვითარების შესაძლებლობების შესახებ. პროექტში ჩართულმა ჟურნალისტებმა გადამზადების კურსები დარგის წამყვან ექსპერტებთან ერთად გაიარეს. ასევე, მოეწყო მედიატურები საქართველოს ტყეების მოწყვლად უბნებზე. შედეგად, პრობლემები აქტიურად შუქდებოდა სატელევიზიო, ბეჭდურ, რადიო და ინტერნეტ მედიაში. დაჯილდოვდნენ სატყეო სფეროს წარმომადგენლები დარგში შეტანილი წვლილისთვის და ახალგაზრდა გარემოსდამცველები.საქართველოში მეტყევის პროფესიული დღე 1999 წლიდან აღინიშნება.

რეკლამა

ლადო ჯურხაძე: მოვდივართ კონკრეტული იდეებით, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს კიდევ უფრო გააძლიერებს

პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხონის მერობის კანდიდატი ლადო ჯურხაძე სოფელ ივანდიდის, კუხისა და ახალშენის მოსახლეობას შეხვდა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება, თითოეული მოქალაქის გამარჯვებას, რაც თავისთავად, გულისხმობს ადგილობრივი ბიუჯეტის გაორმაგებას, თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობას, განვითარებულ კომუნიკაციებსა და ინფრასტრუქტურას, უკეთეს ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას ნიშნავს. მოგიწოდებთ კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი გადავდგათ მომავლისკენ“, - განაცხადა ავტოქარხნის მაჟორიტარობის კანდიდატმა მერაბ კვიცარიძემ, რომელიც სოფელ ივანდიდში გამართულ შეხვედრას ესწრებოდა.

მერობისა და საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატებმა შეკრებილ მოსახლეობას საარჩევნო პროგრამის ძირითადი მიმართულებები გააცნეს და სოფლებში არსებული პრობლემების შესახებ იმსჯელეს.

„ქართული ოცნების“ გუნდის ძირითადი გამოწვევებია დასაქმება, სოციალური ფონის გაუმჯობესება და სოფლის მეურნეობის განვითარება მოვდივართ კონკრეტული იდეებით, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს კიდევ უფრომეტად წაადგება და გააძლიერებს. მინდა გჯეროდეთ ის, რომ თითოეული სიტყვა და დაპირება არის რეალური, კარგად გააზრებული და დაგეგმილი. გვიგულეთ თქვენს სამსახურში“, -მიმართა ამომრჩეველს ლადო ჯურხაძემ.

გრიგოლ იოსელიანი: კიდევ ერთი მნიშვნელოვანი იდეა წყალტუბოსთვის მწვანე ქალაქის სტატუსის მინიჭებაა

პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წყალტუბოს მერობის კანდიდატი გრიგოლ იოსელიანი კომუნალური მომსახურების სფეროსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებს შეხვდა.

წყალტუბოს განვითარების გენერალური გეგმა და წყალტუბოს, როგორც მწვანე ქალაქის კონცეფცია ის საკითხებია, რომლებზეც მერობის კანდიდატმა შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილა.

„წყალტუბოს განვითარების გენერალური გეგმა არის დოკუმენტი, რომლის გარეშეც პროგრესზე, წინსვლაზე საუბარი შეუძლებელია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი იდეა წყალტუბოსთვის მწვანე ქალაქის სტატუსის მინიჭებაა, რაც ნიშნავს ცენტრალური პარკის ფუნქციურ დატვირთვას, სპორტული ცხოვრების განვითარებას, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს ხელშეწყობას, ტურიზმის განვითარებასა და ინფრასტრუქტურის სრულად მოწესრიგებას“, - განაცხადა გრიგოლ იოსელიანმა.

როგორც მერობის კანდიდატმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია, წყალტუბოს განვითარების საქმეში თითოეულმა მოქალაქემ მიიღოს მონაწილეობა.

„თქვენი ჩართულობით, ადგილობრივი თვითმმართველობის გაზრდილი უფლებამოსილებითა და მართვის დემოკრატიული პრინციპებით, შევძლებთ, რეგიონში ყველაზე ძლიერი მუნიციპალიტეტი შევქმნათ და კურორტ წყალტუბოს საერთაშორისო ასპარეზზე კუთვნილი ადგილი დავუბრუნოთ“, - აღნიშნა მერობის კანდიდატმა.

შეხვედრას საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატებთან ერთად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ცოტნე ზურაბიანი ესწრებოდა.

გიორგი ჭილვარია – ქუთაისის მერად!

ჩვენი მთავარი მიზანია, ქუთაისი გახდეს „მომავლის ქალაქი", სადაც ყველა ქუთაისელი ადგილზე შეძლებს საკუთარი თავის რეალიზებას

— ბატონო გიორგი, თავდაპირველად მოკლედ გვიამბეთ თქვენ მიერ განვლილ გზაზე, მნიშვნელოვანი ეპიზოდები თქვენი ბიოგრაფიიდან.

— ჩემი ბიოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი მომენტები ჩემს ოჯახს უკავშირდება. სულ სხვაა პოლიტიკასთან და საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ეპიზოდები, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა ჩემთვის. მათ შორის 2015 წელი, როცა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარედ ამირჩიეს.

- რამ განაპირობა მერობის კანდიდატად თქვენი წარდგენა?

- დღეს ქალაქი დგას ახალი გამოწვევის წინაშე და გუნდმა გადაწყვიტა, რომ ამ გამოწვევებს მე, ჩემს გუნდთან ერთად ვუპასუხო. ეს იყო მთავარი მიზეზი ჩემი მერობის კანდიდატად დასახელების.

- როგორ ფიქრობთ, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ქალაქის მერს?

- ქალაქის მერს, პირველ რიგში, უნდა უყვარდეს საკუთარი ქალაქი და მისი თანამოქალაქეების წინაშე პასუხისმგებლობას და ვალდებულებას გრძნობდეს. უნდოდეს მეტის გაკეთება მისი ქალაქისთვის და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი შეეძლოს.

- მაინც რით არის საინტერესო და განსხვავებული თქვენი პროგრამა და რატომ უნდა აგირჩიოთ თქვენ ქუთაისელებმა ქალაქის მერად?

- ჩემს პროგრამაში დევს ქალაქის -განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც ამ დრომდე არავის ჰქონია. გენერალური გეგმა გულისხმობს ქალაქში უადგილო და უსახური შენობების არარსებობას. უნებართვოდ ხეების ჭრის აკრძალვას. მეტი რეკრეაციული ზონის გაშენებას და ქაოტური სიტუაციის თავიდან აცილებას. ჩემი მერად არჩევის შემთხვევაში, მთავარი მიზანი და ამოცანა იქნება, ქუთაისი გახდეს „მომავლის ქალაქი" სადაც ყველა ქუთაისელი ადგილზე შეძლებს საკუთარი თავის რეალიზებას.

- რა მიგაჩნიათ ქუთაისის ყველაზე დიდ პრობლემად, რომელსაც მერობის შემთხვევაში აუცილებლად გადაჭრით?

- ქალაქში პრობლემები არსებობს და ამ პრობლემებს ჩვენ არ გავურბივართ და არ ვატყუებთ მოქალაქეებს, რომ ყველაფერი იდეალურადაა. ჩემი მერად არჩევის შემთხვევაში, პირველივე დღიდან დავიწყებ ზრუნვას ამ პრობლემების მოგვარებაზე. ჩემი მერობის პერიოდში ქუთაისს ექნება 24-საათიანი წყალმომარაგება და სრულიად ახალი წყალმომარაგების სისტემა.რომელიც ამ დრომდე არასდროს ჰქონია.

- რა შეცდომებს ხედავთ წინამორბედის საქმიანობიდან და რის გამოსწორებას აპირებთ?

- ჩემი წინამორბედის საქმიანობა ჩემი შესაფასებელი არ არის. ეს საზოგადოებამ უნდა შეაფასოს.

- „ინსტრუქციები", რომელიც თქვენ ძალიან გაღიზიანებთ. რა არის თქვენთვის მთავარი?

- ინსტრუქციები არ მიყვარს. ხშირად მაძლევენ ინსტრუქციებს, როგორც კანდიდატს. მაგრამ ვფიქრობ, ხალხი დაიღალა წინასაარჩევნოდ გათამაშებული პერსონებით. მიმაჩნია, რომ მთავარი გულწრფელობაა ხალხთან ურთიერთობაში და საზოგადოება ამას კარგად ხვდება.

- როგორი ქუთაისია თქვენი იდეალი?

- „მომავლის ქუთაისი", რომელიც კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციას დაიბრუნებს და რეგიონში განათლების კერა გახდება. ქუთაისი, რომელიც იქნება პატარა ევროპული ტიპის კონკურენტუნარიანი ქალაქი.

- რეალურად როგორი ქალაქი გვექნება თქვენი მერობის შემთხვევაში 5 წლისთავზე?

- ქალაქი, რომელსაც ყველა ინფრასტრუქტურული პრობლემა გადაჭრილი ექნება და უმუშევრობის დონე მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

- წარმატებებს გისურვებთ.

ეთუნა ჩუმაშვილი

გიორგი ჭილვარია

პაატა ნადირაძე შეხვედრაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მივიდა

ჭიათურის მერობის კანდიდატი პაატა ნადირაძე ამომრჩეველთან შეხვედრაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მივიდა. მგზავრობისას კანდიდატს სოფლის მკვიდრებმა 2012 წლის შემდეგ განხორციელებული პროექტებისთვის მადლობა გადაუხადეს და ასევე, სთხოვეს მერად არჩევის შემდეგ სოფელში არსებული გაზიფიცირების პრობლემა გადაჭრას. სოფელში უკვე განხორციელდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, გარემონტდა საბავშვო ბაღი და დამონტაჟდა სასმელი წყლის მილები.

,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ჭიათურის მერობის კანდიდატის პაატა ნადირაძის მხარდასაჭერად უცხოეთში მოღვაწე ბიზნესმენი სერგო იაკობიძე ჩამოვიდა და წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩაერთო.

მერობის კანდიდატმა პაატა ნადირაძემ ამომრჩევლებს მოუწოდა, რომ 21 ოქტომბერს მოქალაქეობრივი ვალი მოიხადონ და ხმა მისცენ ჭიათურის განვითარებას.

კახაბერ მახათაძე: სოფლის მეურნეობის განვითარება ჩემი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია

პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ზესტაფონის მერობის კანდიდატი კახაბერ მახათაძე, დაბა შორაპნის ამომრჩეველს შეხვდა და ის პრობლემები განიხილა, რომლებიც მოსახლეობას აწუხებს.

,,ყურადღება დაეთმობა დაბაში ტურიზმის განვითარებას. სამომავლოდ, ისტორიულ ციხესიმაგრესთან მუზეუმის აშენება იგეგმება, სადაც ტურისტები ყვირილისა და ძირულის შესართავში არსებული, ანტიკური/შუა საუკუნეების ისტორიული ძეგლის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მიღებას შეძლებენ", - განაცხადა კახაბერ მახათაძემ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მოსახლეობის მთავარი პრობლემა ინფრასტრუქტურული საკითხებია. ადგილობრივების თქმით, ფარნავაზის, ვაჩნაძისა და ჭიათურის ქუჩები რეაბილიტაციას საჭიროებს.

,,მომდევნო წლებში, შორაპანში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი. მათ შორის, შიდა საუბნო გზების, სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია, საბავშვო სკვერებისა და სპორტული მოედნების აშენება", - აღინიშნა ზესტაფონის მერობის კანდიდატმა.

კახაბერ მახათაძე საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ასევე სოფელ დილიკაურის ამომრჩეველს შეხვდა და საარჩევნო პროგრამა გააცნო.

,,ზესტაფონში სოფლის მეურნეობის განსავითარებლად, სხვადასხვა მხარდამჭერი პროგრამები გაგრძელდება. სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება, ჩემი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია", -განაცხადა კახაბერ მახათაძემ.

ქართული ღვინის მე-4 ეროვნული კონკურსის გამარჯვებულები გამოავლინეს

8 ოქტომბერს, საქართველოს სომელიეთა ასოციაციამ "ქართული ღვინის ეროვნული კონკურსი 2017"-ის გამარჯვებულები გამოავლინა. ღონისძიება ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს, თბილისის მერიის და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ქართული ღვინის კვირეულის ფარგლებში.

ქართული ღვინის ეროვნული კონკურსი უკვე მეოთხედ ტარდება და მისი მიზანია, გამოავლინოს საქართველოში წარმოებულ ღვინოებს შორის საუკეთესოები. კონკურსის საზეიმო დაჯილდოებაზე ტრადიციულად, დასახელდა საქართველოს სომელიეთა ასოციაციის მიერ დაწესებული **"ქართული ღვინის ორდენი"**-ს სამი კავალერი: 1. სტივენ სპურიე, საქართველოს ღვინის სამშობლოდ აღიარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის;

2. ახალი ღვინის ფესტივალი (იაგო ბითარიშვილი და მალხაზ ხარბედია) - ღვინის მცირე მეწარმეობის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

3. საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში (La Clté du Vln) ქართული ღვინის ისტორიისა და კულტურის წარმოჩენისა და გამოფენის -„საქართველო - მევენახეობის აკვანი" Georgla, cradle of Vllculture ორგანიზებისთვის ქართული ღვინის ორდენები გადაეცათ: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „ საქპატენტს".

კონკურსის პროფესიული ჟიურის წევრები იყვნენ ენოლოგები და სომელიეები. წელს პროფესიულ ჟიურის ორი თანათავმჯდომარე ჰყავდა: **შალვა ხეცურიანი (**საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი, „ მარანი ხეცურიანის" დამფუძნებელი) და **სტივენ სპურიე** - მსოფლიოში ცნობილი ბრიტანელი ღვინის ექსპერტი, ჟურნალ "დეკანტერი"-ს (Decanter) კონსულტანტ-რედაქტორი, საფრანგეთში ღვინის აკადემიის (L'Academle du Vln) და კრისტის (Chrlstle's) ღვინის კურსების დამფუძნებელი, ღვინის წიგნების ავტორი.

აღსანიშნავია, რომ კონკურსში ტრადიციულად მონაწილეობდა ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელთა უმრავლესობა, მათ შორის - მცირე მარნებიც.

დაჯილდოების ცერემონიაზე წარმოდგენილი იყო 19 კატეგორია, ყოველ მათგანში ასევე შედგა ფინალში გასული ღვინოების რეიტინგი. გამარჯვებულებს გადაეცათ სპეციალური დიპლომები და პრიზები, რომელიც საგანგებოდ კონკურსისთვის შეიქმნა. ღონისძიებაზე სერტიფიკატები გადაეცათ თბილისის ღვინის სკოლის (მათ შორის, WSET-ის) კურსდამთარებულებს. ცერემონიაზე საქართველოს სომელიეთა ასოციაციამ სომელიეს სტატუსი მიანიჭა სოფო კობაიძეს და ნათია ლომიძეს, ხოლო ასისტენტ სომელიეს სტატუსი - მარიამ ლეკიშვილსა და ირაკლი ნონიაშვილს.

პროექტის პარტნიორები არიან: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ღვინის ეროვნული სააგენტო, ქ.თბილისის მერია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სასტუმრო Rooms Tblllsl, **სასტუმრო** lotaTblllsl **და** Fabrlka.

გამარჯვებული ღვინოები

1. **საუკეთესო წინანდალი**
კახური ღვინის მარანი - წინანდალი 2010
კონჭო და კომპანია - წინანადალი 2013

2. საუკეთესო მწვანე
კახური ღვინის მარანი - მანავის მწვანე 2014
შუმი - მწვანე 2013

3. საუკეთესო რქაწითელი
მათრობელა - რქაწითელი 2016

4. საუკეთესო თეთრი ღვინო
შატო მუხრანი - საიდუმლო კოლექცია 2015

5. საუკეთესო ვარდისფერი ღვინო
თელიანი ველი - საფერავი ვარდისფერი ღვინო 2015

6. საუკეთესო წითელი მშრალი ღვინო
შატო მუხრანი - საიდუმლო კოლექცია 2014
კონჭო და კომპანია - ალექსანდროული 2014

7. საუკეთესო წითელი ნახევრადმშრალი და ნახევრადტკბილი ღვინო
იკანო - საფერავი/მერლო ნახევრადტკბილი ღვინო 2015

8. საუკეთესო საფერავი
ტიფლისკი ვინნი პოგრებ - საფერავი 2016
თელიანი ველი - საფერავი 2016

9. საუკეთესო მუკუზანი
კონჭო და კომპანია - მუკუზანი 2013

10. საუკეთესო პრემიალური საფერავი
ქართული ღვინის სახლი - საფერავი 2015

11. საუკეთესო ხვანჭკარა
თბილღვინო - ხვანჭკარა 2016

12. საუკეთესო ქინძმარაული
შილდა - ქინძმარაული 2015

13. საუკეთესო უსახელოური
შილდა - უსახელოური 2015

14. საუკეთესო ქვევრის ბუნებრივი ქარვისფერი ღვინო
თორნიკე მეტრეველი - რქაწითელი ქვევრის 2015
შატო სვანიძე - რქაწითელი ქვევრის 2013
დათო ჩიხლაძე - კახური მწვანე ქვევრის 2015

15. საუკეთესო ქვევრის ბუნებრივი წითელი ღვინო
პაპუნას მარანი - საფერავი 2016
პეტრიაანთ მარანი - საფერავი 2016
შაქარაშვილი - საფერავი 2016
დორემი - ოჯალეში 2016
თეგანი - საფერავი 2016

16. საუკეთესო ქვევრის ქარვისფერი ღვინო
დანიელი - ქისი 2016
ვინეპონტო - ხიხვი 2016
გავაზი ქვევრის თეთრი - 2013
ვინეპონტო - ქისი 2016

17. საუკეთესო ქვევრის წითელი ღვინო
ქვევრის ღვინის მარანი - საფერავი 2016
კონჭო და კომპანი - საფერავი 2013
ვინივერია - საფერავი 2014
შუხმან ვაინს ჯორჯია - საფერავი 2015
გავაზი ქვევრის წითელი- 2010
ვიტა ვინეა საფერავი 2015

18. საუკეთესო ჭაჭა
თელიანი ველი - ჭაჭა ვერცხლი

19. საუკეთესო ჭაჭა, დავარგებული
კახური ღვინის მარანი - ჭაჭა დავარგებული

დიპლომატების ჟიურის რჩეული ღვინოები:

1. საუკეთესო წინანდალი
გავაზი - წინანდალი 2014

2. საუკეთესო ვარდისფერი ღვინო
თელიანი ველი - საფერავი როზე ნახევრად მშრალი 2015

3. საუკეთესო პრემიალური საფერავი
შილდა - ნაფარეული 2015

4. საუკეთესო ქვევრის ქარვისფერი ღვინო
ჩელთი - რქაწითელი/მწვანე 2016

5. საუკეთესო ქვევრის წითელი ღვინო
ქვევრის ღვინის მარანი - საფერავი 2016

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵃ ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
Q — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.
გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი"). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**